გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზები:

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია სამოქლაქო საქმეებზე სამართალწარმოების დახვეწა და უფრო ეფექტური მექანიზმის შემუშავება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

1. სამართალწარმოების გამარტივების მიზნით, კანონპროექტი ითვალისწინებს სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელებას არა მხოლოდ პრესის მეშვეობით, არამედ სხვა ფორმებითაც.
2. კანონის არსებული რედაქციით, 179-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი არ შეესაბამება მის სათაურს.
3. კანონპროექტი ითვალისწინებს ხარვეზის განჩინების მხარეთათვის ტელეფონით შეტყობინებას, თუ ხარვეზი შეეხება მხოლოდ სარჩელის შედგენის ფორმალურ და არა შინაარსობრივ მხარეს.
4. კანონპროექტი, მოპასუხის ინტერესების დაცვის მიზნით, ითვალისწინებს ახალ ელემენტს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის - სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. აღნიშნულის შედეგად, დაუსაბუთებელ სასარჩელო მოთხოვნებზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა გამოირიცხება.
5. კანონპროექტის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის საკითხის განხილვა შესაძლებელია როგორც ზეპირი მოსმენით, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.
6. კანონპროექტი ითვალისწინებს ახალ საპროცესო ინსტიტუტს – სატელეფონო გასაუბრებას, როგორც მოსამზადებელი სხდომის ანალოგს. აღნიშნულის შედეგად უფრო გამარტივდება საქმის მთავარი სხდომისათვის მომზადება და, ამასთან, ეს ინსტიტუტი მიზანშეწონილია პროცესის ეკონომიურობის ინტერესებიდან გამომდინარე.
7. საქმის განხილვის გაჭიანურების აცილების მიზნით, კანონპროექტით განსაზღვრულია სასამართლოს მიერ ეmთავარი სხდომის დანიშვნის ვადა.
8. კანონპროექტით ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქციის 232^1 მუხლში დაშვებული ტექნიკური უზუსტობის გასწორება.
9. კანონის მოქმედი რედაქციით, სასამართლოს მთავარ სხდომაზე დასაშვებია გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება. კანონპროექტი

ითვალისწინებს მაგისტრატი მოსამართლეების განსჯად საქმეებზე (როგორც შედარებით მარტივი კატეგორიის დავებზე), აგრეთვე, მხარეთა მოთხოვნით, სხვა საქმეებზეც დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადების შესაძლებლობას, რომელის ცალკე წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება აუცილებელი აღარ არის. აღნიშნული ცვლილება პროცესის ეკონომიურობის მიზნითაა განპირობებეული.

10. კანონპროექტით არსებითად იცვლება მხარეთათვის საბოლოო გადაწყვეტილების ჩაბარებისა და ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის ათვლის წესები. აღნიშნული ცვლილება სწრაფი და ეკონომიური მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებითაა განპირობებული.

11. კანონპროექტი ითვალისწინებს დამატებითი გადაწყვეტილების, თუ იგი სასამართლო ხარჯების განსაზღვრას შეეხება, მიღებას ზეპირი მოსმენის გარეშეც.

12. კანონპროექტი ითვალისწინებს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის განხილვას, თუ ეს საკითხი არ იხილება იმავე სხდომაზე, როცა გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ზეპირი განხილვის გარეშეც.

13. კანონპროექტით განისაზღვრება უფლებამონაცვლის დადგენისა და საქმეში ჩართვის მიზნით სასამართლოსა და მხარეების მიერ განსახორციელებელ მოქმედებათა წრე, ვადები, აგრეთვე, სათანადო ვადაში უფლებამონაცვლის დაუდგენლობის შედეგები.

14. კანონპროექტი ითვალისწინებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას ზეპირი მოსმენის გარეშეც.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მირებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება ფისკალურად ნეიტრალურია, იგი გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება ახალ ფინანსურ ვალდებულებებს არ წარმოშობს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტის მიღება ფინანსურ შედეგებზე გავლენას არ იქონიებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით გადასახადის, მოსაკრების ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა არ არის გათვალისწინებული.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპტროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს საერთაშორის ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელსეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს არ ეწინააღმდეგება.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
მათ კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
კანონპროექტი ექსპერტებისათვის წარდგენილი არ ყოფილა.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:
საქართველოს პარლამენტის წევრები კახაბერ ანჯაფარიძე და ჩიორა თაქთაქიშვილი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი
საქართველოს პარლამენტის წევრები კახაბერ ანჯაფარიძე და ჩიორა თაქთაქიშვილი